აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
26 იანვარი, 2017 წელი

დადგენილება №16 (16/17)
აწსუ აკადემიური საბჭოს #31, 3.07.2008 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებზე წარჩინების დიპლომის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ აწსუ აკადემიური საბჭოს #31, 3.07.2008 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით წარჩინების დიპლომის გაცემის წესი განისაზღვროს თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

დანართი 1.

წარჩინების დიპლომი გაიცემა აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის იმ კურსდამთავრებულებზე (გარდა მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებისა), რომელთა აკადემიური მოსწრება აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის იმ კომპონენტების კრედიტთა ჯამური რაოდენობა, რომლებშიც კურსდამთავრებულს მიღებული აქვს A –„ფრიადი“ შეფასება, არის არანაკლები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტთა საერთო რაოდენობის 75%-ისა.
2. საგანმანათლებლო პროგრამის იმ კომპონენტების კრედიტთა ჯამური რაოდენობა, რომლებშიც კურსდამთავრებულს მიღებული აქვს D – „დამაკმაყოფილებელი“ ან E – „საკმარისი“ შეფასებები, არ აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტთა საერთო რაოდენობის 5%-ს.

წარჩინების დიპლომი გაიცემა მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების იმ კურსდამთავრებულებზე, რომელთა აკადემიური მოსწრება აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის იმ კომპონენტების კრედიტთა ჯამური რაოდენობა, რომლებშიც კურსდამთავრებულს მიღებული აქვს A –„ფრიადი“ შეფასება, არის არანაკლები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტთა საერთო რაოდენობის 75%-ისა.
2. კურსდამთავრებულს კომპლექსურ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული აქვს შეფასება A –„ფრიადი“

დანართი 2.

წარჩინების დიპლომი გაიცემა მაგისტრატურის იმ კურსდამთავრებულებზე, რომელთა აკადემიური მოსწრება აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის იმ კომპონენტების კრედიტთა ჯამური რაოდენობა, რომლებშიც კურსდამთავრებულს მიღებული აქვს (A) –„ფრიადი“ შეფასება, არის არანაკლებ სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტთა საერთო რაოდენობის 75%-ისა.
2. კურსდამთავრებულის სამაგისტრო ნაშრომი შეფასებულია (A) –„ფრიადზე“.
3. სამაგისტრო პროგრამის იმ კომპონენტების კრედიტთა ჯამური რაოდენობა, რომლებშიც კურსდამთავრებულს მიღებული აქვს (D) – „დამაკმაყოფილებელი“ ან (E) – „საკმარისი“ შეფასებები, არ აღემატება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტთა საერთო რაოდენობის 5%-ს.